

ვიპროსალი B[®]

საერთაშორისო არაპატენტური სახელწოდება: არა აქვს.

სამკურნალოწამლო ფორმა და შემადგენლობა

მაღამო გარეგანი გამოყენებისთვის.

1 გ მაღამო შეიცავს:

აქტიური ნივთიერება: 0,05 საერთაშორისო ერთეულ ჩვეულებრივი გველგესლას მშრალ შხამს, 30 მგ რაცემულ ქაფურს, 30 მგ სკიპიდარს, 10 მგ სალიცილის მჟავას;

დამხმარე ნივთიერებები: - ვაზელინი, ცეტოსტარილის სპირტი, მყარი პარაფინი, ნატრიუმის ცეტილსტარილსულფატი, გლიცეროლი, ნატრიუმის ქლორიდი და გასუფთავებული წყალი.

აღწერა

თეთრი ან თეთრი ოდნავ მოყვითალო ელფერის მაღამო ქაფურის და სკიპიდარის სუნით.

ფარმაცოთერაპიული ჯგუფი

გარეგანი გამოყენების ნივთიერებები სახსროვანი და კუნთოვანი ტკივილებისას.

კოდი ათქ: **M02AX**

ფარმაცოლოგიური თვისებები

ფარმაცოლინამიკა

მაღამოს ძირითად მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ჩვეულებრივი გველგესლას შხამი (*Vipera berus berus* L.), რომელიც შეიცავს ფოსფოლიპაზას, ფოსფოდიესტერაზას, ჰიალურონიდაზას და სხვა აქტიურ ნივთიერებებს. გველგესლას შხამი შეიცავს ასევე სპეციფიური მოქმედების პეპტიდებს, რომლებიც არის ჰემოლიზის მიზეზი, ზრდიან კაპილარების განვლადობას, გავლენას ახდენენ სისხლის შედედებაზე. ადგილობრივი გამოყენებისას გველგესლას შხამი ახდენს გამაღიზიანებელ და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას, რეზორბციის დროს ააქტიურებს ორგანიზმის დამცავ მექანიზმებს.

მაღამო შეიცავს ასევე ნივთიერებებს (ქაფური, სკიპიდარი და სალიცილის მჟავა) რომლებიც აღიზიანებენ მგრძობიარე ნერვულ დაბოლოებებს და ამიტომ ახდენს ადგილობრივად გამაღიზიანებელ და ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებას. კანის ადგილობრივი გაღიზიანება წარმოადგენს სისხლმომარაგების ცვლილების და შინაგანი ორგანოების ტროფიკის შერჩევითი გაუმჯობესების მიზეზს, რომლებიც ინერვირდებიან ზურგის ტვინის იგივე სეგმენტებით. დამატებითი გაღიზიანება იწვევს ანტინოციციტური სისტემის დამატებით აქტივაციას ზურგის ტვინის შესაბამის სეგმენტში, რომელიც ხელს უშლის პირველადი ტკივილის იმპულსებს მიაღწიონ თავის ტვინის ქერქამდე და ხელს უშლის ტკივილის აღქმას. ტკივილგამაყუჩებელ მოქმედებასთან ერთად ქაფურს, სალიცილის მჟავას და სკიპიდარს გააჩნიათ ასევე ანტისეპტიური მოქმედება, ხოლო სალიცილის მჟავას ასევე კერატოლიზური მოქმედებაც.

ფარმაცოკინეტიკა

მაღამო სწრაფად შეიწოვება და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩნდება წვის შეგრძნება, კანის მსუბუქი შეწითლება და სითბოს შეგრძნება. ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება იწყება 20-30 წუთის შემდეგ და გრძელდება 1,5-2 საათი.

გამოყენების ჩვენებები

გარეგანი გამოყენების ტკივილგამაყუჩებელი საშუალება რევმატული ტკივილების, ნევრალგიის, რადიკულიტის და დაავადებებისას, თანმხლები ტკივილის სინდრომით.

გამოყენების წესი და დოზირება

მაღამო გარეგანი გამოყენებისთვის.

მოზრდილები

მტკივნეულ უბანზე დაიტანება მცირე პორციებით 5-10 გ (1-2 ჩაის კოვზი) მაღამო და შეიზილება კანში 1-2 ჯერ დღეში ტკივილის ინტენსივობის მიხედვით, ტკივილის სინდრომის გაქრობამდე. მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაავადების ხასიათზე და ხარისხზე.

ხანდაზმული ასაკის პაციენტები

არ არსებობს მონაცემები იმის შესახებ, რომ ხანდაზმული ადამიანები საჭიროებენ სხვა დოზირებას.

ბავშვები და მოზარდები

არ არის რეკომენდებული გამოყენება ბავშვებში და მოზარდებში, ამ ასაკობრივ ჯგუფში პრეპარატის გამოყენების შესახებ არასაკმარისი მონაცემების გამო.

უკუჩვენებები

- მალამოს აქტიური ნივთიერებების ან პრეპარატის რომელიმე კომპონენტების მიმართ მომატებული მგრძობელობა,
- წყლულები და კანის სხვა დაავადებები,
- ფილტვების მწვავე ტუბერკულოზი,
- თავის ტვინის და კორონარული (გულის) სისხლის მიმოქცევის დარღვევები,
- ანგიოსპაზმების მიმართ მიდრეკილება (სისხლძარღვთა სპაზმები),
- თირკმელებისა და ღვიძლის ფუნქციების მძიმე დარღვევები,
- ორსულობა და ძუძუთი კვების პერიოდი.

გვერდითი მოვლენები

როგორც ყველა სამკურნალო საშუალებამ, ასევე ამ სამკურნალო საშუალებამაც შესაძლოა გამოიწვიოს გვერდითი მოვლენები, მაგარამ ყველასთან არ ვლინდება.

მალამოს კომპონენტების მიმართ კანის მომატებული მგრძობელობისას შეიძლება გაჩნდეს ქავილი, შეშუპება ან ჭინჭრის ციება. ამ შემთხვევაში რეკომენდებულია მკურნალობის შეწყვეტა და მალამოს ჩამოხანვა კანიდან. ჩამოთვლილი ნიშნები ქრება მკურნალობის შეწყვეტის შემდეგ.

გვერდითი მოვლენების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა წინასწარ დაიტანოს კანზე მალამოს მცირე რაოდენობა პრეპარატის მიმართ მგრძობელობის გამოსარკვევად.

ჩამოთვლილი გვერდითი მოვლენების გამოვლენისას, ასევე ისეთი გვერდითი მოვლენების გამოვლენისას რომლებიც არ არის აღწერილი ამ ინსტრუქციაში, აუცილებლად მიმართეთ ექიმს.

განსაკუთრებული მითითებები

მალამო განკუთვნილია მხოლოდ გარეგანი გამოყენებისთვის.

მალამო არ უნდა დაიტანოთ დაზიანებულ კანზე. ძლიერი გაღიზიანების თავიდან ასაცილებლად უნდა დააკვირდეთ, რომ მალამო არ მოხვდეს თვალებში ან ლორწოვან გარსებში.

მალამო, დამხმარე ნივთიერების სახით შეიცავს ცეტოსტეარილის სპირტს, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს კანის ადგილობრივი რეაქცია (მათ შორის კონტაქტური დერმატიტი).

ბავშვები და მოზარდები

არ არის რეკომენდებული გამოყენება ბავშვებში და მოზარდებში, ამ ასაკობრივ ჯგუფში პრეპარატის გამოყენების შესახებ არასაკმარისი მონაცემების გამო.

თუ თქვენ გაგიჩნდათ რაიმე შეკითხვები, მიმართეთ ექიმს ან ფარმაცევტს.

ორსულობა და ძუძუთი კვება

არ არსებობს საკმარისი მონაცემები ამ პრეპარატის ორსულებში გამოყენების შესახებ. თუ თქვენ ხართ ორსულად, ან გეგმავთ ორსულობას ან ძუძუთი კვებას ბავშვს, აცნობეთ ამის შესახებ ექიმს. უსაფრთხოების შესახებ შესაბამისი მონაცემების არ არსებობის გამო მალამო არ გამოიყენება ორსულობის და ძუძუთი კვების დროს.

სატრანსპორტო საშუალებების მართვის და მექანიზმების მომსახურების უნარზე ზემოქმედება

მალამო გავლენას არ ახდენს ტრანსპორტის მართვასა და ტექნიკურ მოწყობილობებთან მუშაობის უნარზე.

სხვა სამკურნალო საშუალებებთან ურთიერთქმედება.

ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან არ არის შესწავლილი.

ჭარბი დოზირება

ჭარბი დოზირების შემთხვევები არ არის ცნობილი.

ლორწოვან გარსებზე შემთხვევით მოხვედრისას მალამო იწვევს ძლიერ გაღიზიანებას.

არასწორი გამოყენება

მაღამოს შემთხვევით გადაყლაპვის დროს შესაძლოა გამოვლინდეს საჭმლის მომნელებელი ტრაქტის მხრივ სიპტომები, როგორცაა ღებინება და დიარეა. მკურნალობა სიპტომურია. მაღამოს დიდი რაოდენობით შემთხვევით გადაყლაპვის დროს შესაძლოა გამოვლინდეს მწვავე მოწამვლის სიპტომები, როგორცაა გულისრევა, ღებინება, მუცლისა და თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, სიცხის შეგრძნება / გაწითლება, კრუნხვები, სუნთქვის გაჩერება და კომა.

მძიმე გასტროინტესტინალური ან ნევროლოგიური სიმპტომებით მიმდინარე მოწამვლის დროს პაციენტებზე ხდება დაკვირვება და უტარდებათ სიმპტომური მკურნალობა. დაუშვებელია ღებინების გამოწვევა.

შენახვის პირობები

შეინახეთ არა უმეტეს 25⁰ C ტემპერატურაზე.

არ შეინახოთ მაცივარში ან საყინულეში.

შეინახეთ ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მოქმედების ვადა

3 წელი

არ გამოიყენოთ შეფუთვაზე მითითებული ვარგისობის ვადის ამოწურვის შემდეგ.

გაცემის პირობები

ფარმაცევტული პროდუქტების ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

შეფუთვა

30 გ, 50 გ ან 75 გ მაღამო ალუმინის ტუბში.

1 ტუბი, მუყაოს კოლოფში გამოყენების ინსტრუქციასთან ერთად.

სარეგისტრაციო მოწმობის მფლობელი

სს „გრინდეკსი“,

კრუსტპილსის ქ., 53, რიგა, LV-1057, ლატვია.

ტელ: + 371 67083205

ფაქსი: +371 67083505

ელ.ფოსტა: grindeks@grindeks.lv

მწარმოებელი

სს „ტალინის ფარმაცევტული ქარხანა“,

ტონდი 33, 11316 ტალინი, ესტონეთი

ტექსტის კორექტირების თარიღი: სექტემბერი 2020წ.